# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 221

„ 8 " სექტემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა №8-ში, ნაკვეთი (05/040) (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.040.01.022 და №01.19.19.005.040.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა №8-ში, (ნაკვეთი 05/040, საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.040.01.022, №01.19.19.005.040.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 სექტემბრის №20.989.1239 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა №8-ში, ნაკვეთი(005/040), მე-4 სართულზე მდებარე 63.42 კვ.მ და მე-4 სართულზე, ბინა №22-ში მდებარე 8.64 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.19.19.005.040.01.022 და №01.19.19.005.040.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე მოქალაქე თენგიზი მამულაშვილისთვის (პ/ნ: 38001010771) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე